



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება  
ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარის

ბრძანება №24

ქ. ბათუმი

17 სექტემბერი 2015 წელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების -  
ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის საჯარო მოხელეთა საკონკურსო-  
საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, „საჯარო მოხელეთა ატესტაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №411 დადგენილების და „საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №412 დადგენილების და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - ტურიზმისა და კურორტების დებულების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 8 ივლისის №13 დადგენილებით დამტკიცებული ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. დამტკიცდეს თანდართული „აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულება“.
2. დაევალოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელ პირს (ირინე ურუშაძე) ბრძანების შესაბამისი წესით გამოქვეყნება.
3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ ბათუმის საქალაქო სასამართლოში, ქალაქ ბათუმში, სტეფანე ზუბალაშვილის ქუჩა №30-ში, კანონით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დეპარტამენტის თავმჯდომარე



მამია ბერძენიშვილი

აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულება

თავი I  
ზოგადი დებულება

**მუხლი 1. გამოყენების სფერო**

1. აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის (შემდგომში - კომისია) დებულება აწესრიგებს აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მოხელეთა კონკურსის ან/და ატესტაციის პროცესს.
2. აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის საკონკურსო-საატესტაციო კომისია იქმნება და საქმიანობს აღნიშნული დებულების საფუძველზე.

**მუხლი 2. ტერმინთა განმარტება**

ამ დებულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მოხელეთა კონკურსი (შემდგომში კონკურსი) - საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, კანდიდატის შესაბამისობის დადგენა ვაკანტური თანამდებობის მოთხოვნებთან;

ბ) აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მოხელეთა ატესტაცია (შემდგომში ატესტაცია) - საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მოხელის სამსახურებრივი საქმიანობის, პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობებისა და პირადული თვისებების შესაბამისობის შეფასება დაკავებული ან დასაკავებელი თანამდებობის მოთხოვნებთან

გ) კონკურსის ან/და ატესტაციის პრინციპები:

გ.ა) კანონიერება - კონკურსის ან/და ატესტაციის პროცესი მიმდინარეობს ამ დებულების, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, „საჯარო მოხელეთა ატესტაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №411 დადგენილების და „საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №412 დადგენილების და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად;

გ.ბ) სამართლიანობა - კონკურსის ან/და ატესტაციის პროცესში გადაწყვეტილების მიღება ხდება დამკვიდრებული სამართლებრივი პრინციპების შესაბამისად;

გ.გ) საჯაროობა - კონკურსის ან/და ატესტაციის პროცედურასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სხდომის ოქმები და კონკურსის შედეგები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა დაინტერესებული პირისათვის;

გ.დ) გამჭვირვალობა - გამოყენებული პროცედურები, მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები უნდა იყოს ნათლად ფორმირებული, გასაგები და აღქმადი ყველა პრეტენდენტისათვის;

გ.ე) არადისკრიმინაციულობა - კონკურსის ან/და ატესტაციის პროცედურები უნდა უზრუნველყოფდეს პირთა თანასწორობას განურჩევლად რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური